დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი

საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
25.11.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი
09.01.2023

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 17

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 23

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 26

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 35

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საჯარო სამართლის იურიდიული პირი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328703
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ირინე ფხაკაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა ჯავახია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ეკატერინე-მადონა ბუაძე, სასწავლო უნივერსიტეტი „გეომედი“, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	ფარმაცია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Pharmacy
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	ფარმაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0916 ფარმაცია Pharmacy
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	
სწავლების ენა	ინგლისური ენა
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პროგრამა ხორციელდება ავტორიზაციის რეჟიმში, 10/09.2018 გადაწყვეტილება N 66, ოქმი N 13. თსსუ–ის ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღია 10/09.2024.
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ[4]**

ავტორიზებული, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“ (შემდგომში - პროგრამა) აკრედიტირებულია 2012 წელს, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება N353, ოქმი N11, 6/09.2012. პროგრამა ამჟამად ხორციელდება ავტორიზაციის რეჟიმში (10/09, 2018 გადაწყვეტილება N 66, ოქმი N 13). ფარმაციის ბაკალავრის პროგრამის თვითშეფასების პროცესზე პასუხისმგებელი ჯგუფი შეიქმნა თსსუ ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N10, 2022 წლის 04 მარტი), აღნიშნული ჯგუფის შემადგენლობაში პროგრამის თვითშეფასების პროცესის წარმართვაში ჩართული იყვნენ და თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე იმუშავეს ფაკულტეტის დეკანმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, ფარმაციის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა პერსონალმა, დამსაქმებელმა და სტუდენტმა. განსაზღვრულ იქნა თითოეულ სტანდარტზე პასუხისმგებელი პირები. ფარმაციის ბაკალავრის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების ყველა ეტაპზე პროცესებში ჩართული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამაში შეტანილი ცვლილებები დამტკიცებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი N 13, 20.05.2022) შემდგომ იგი დამტკიცებულ იქნა აკადემიური საბჭოს მიერ 2022 წლის 23 მაისის N24/14 დადგენილებით. პროგრამა ორიენტირებულია ფარმაციის ბაკალავრის მომზადებასა და კვალიფიციური სპეციალისტის ჩამოყალიბებაზე, რომელიც შეძლებს პროფესიულ განვითარებას და ფარმაცევტულ ზრუნვაში მონაწილეობას.

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელია,
8 სემესტრი და ითვალიწინებს 240 ECTS კრედიტის შესრულებას, მათ შორის
104 კრედიტი ეთმობა საბაზისო და ზოგად–ტრანსფერულ სასწავლო კურსებს, 94 კრედიტი – პროფილური სასწავლო კურსებს, 12 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსებს; ხოლო 30 კრედიტი – ფარმაციის ინტეგრირებული მოდულს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 0 22 0001389424 , 01/11/2022 ბრძანების საფუძველზე სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "ფარმაციის" ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სააკრედიტაციო ვიზიტის განხორციელების მიზნით შეიქმნა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი შემადგენლობით: ირინე ფხაკაძე (თავმჯდომარე), მაკა ჯავახია, გიგა ხოსიტაშვილი, ეკატერინე-მადონა ბუაძე (წევრები). აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 25 ნოემბერს დაწესებულებაში წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის თანახმად. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის მოსამზადებელ პერიოდში შეისწავლა 2022 წლის 15 აგვისტოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თსსუ მიერ

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

წარდგენილი ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და მასზე თანდართული დოკუმენტაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასების მიზნით და მოამზადა შესაბამისი დასკვნის დოკუმენტი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1 - საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა -შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა -შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები -შეფასდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- **რეკომენდაციები**

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.4. სასურველია სასწავლო კურსები „ადამიანის ანატომიის საფუძვლები“ და „ჰისტოლოგიის საფუძვლები“ ისწავლებოდეს ერთდროულად პირველ სემესტრში, ან ადამიანის ანატომიის საფუძვლები უსწრებდეს ჰისტოლოგიის საფუძვლებს.

2.1.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად შესაძლებელია გასაუბრების გზით ქიმიაში უცხოელი სტუდენტების კომპეტენციების შეფასება.

2.4. სასწავლო კურსებში „კლინიკური უნარ-ჩვევები“ „კომუნიკაციის უნარები“ სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგების შესაფასებლად გამოყენებულ იქნას შეფასების თანამედროვე მეთოდი- ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE).

3.1. სასურველია, სტუდენტებს მიეწოდოთ ზუსტი ინფორმაცია კონფერენციების, სხვადასხვა ღონისძიებებისა და ამ ღონისძიებებში მონაწილეობის სარგებლობის შესახებ, მათი დაინტერესების გაზრდის მიზნით.

4.4.

- სასურველია, სახელმძღვანელოების გაციფროვნების დროს ბიბლიოთეკა სიფრთხილით მოეკიდოს საავტორო უფლებების დაცვის საკითხს, რათა არ მოხდეს მათი უნებლიე დარღვევა;
- სასურველია, ყველა სამეცნიერო ბაზაზე არსებობდეს დისტანციურად წვდომის შესაძლებელობა, რათა საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის მიღმა ხელმისაწვდომი იყოს ყველა რესურსი;
- სასურველია, პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით გააძლიეროს სამენციერო ბაზების პოპულარიზაცია სტუდენტებს შორის.

4.5.

- სასურველია, შემოსავლების ზრდის პარალელურად ინსტიტუციამ შეიმუშაოს მექანიზმი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფინანსური წახალისების მიზნით, რაც აამაღლებს მათ მოტივაციას და დადებითად აისახება სწავლების ხარისხზე.

5.3.

- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა აქტიურად გამოიყენოს ის საერთაშორისო კონტაქტები, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია და მოახდინოს მოცემული პროგრამის უცხოურ ანალოგებთან შედარება.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისია ითვალისწინებს ახალი ცოდნის შექმნასა და გავრცელებას, მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის ამაღლებასა და ჯანმრთელობის დაცვის სისტემის განვითარებაში მონაწილეობას და კურსდამთავრებულების აღჭურვას საერთაშორისო პროფესიულ საზოგადოებაში ჰარმონიული ინტეგრაციისათვის აუცილებელი ცოდნით და უნარებით.

წარმოდგენილი ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამის მიზანი იზიარებს უნივერსიტეტის მისიის პათოსს, ემსახურება გაცხადებული იდეის განხორციელებას და შეესაბამება ინსტიტუციის საქმიანობის მიზნებსა და სტრატეგიას; პროგრამის მიზნები ნათლად არის ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია და ასახავს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში შესატან წვლილსა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხებს.

პროგრამის მიზნებია: სტუდენტს მისცეს ცოდნა ფარმაცევტული მეცნიერებების ბიოსამედიცინო და ქიმიური საფუძვლების შესახებ; ფარმაცევტული საქმიანობის საბაზისო პრინციპების შესახებ. გამოუმუშაოს სტუდენტს ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელებაში ჩართვის უნარი (კომპეტენციის ფარგლებში); ფარმაცევტული ანალიზის ჩატარების და დასკვნის გაკეთების უნარი; ფარმაცევტული პროდუქციის წარმოებაში მონაწილეობის უნარი.

პროგრამის მიზნები საჯაროა და ხელმისაწვდომი, გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ, რაც დაადასტურა მათთან ინტერვიუებმა. პროგრამის მიზნების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია უნივერსიტეტის ვებ-გვერდით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საბაკალავრო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- თსსუ-ის მისია, ხედვა, ღირებულებები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☒	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თსსუ-ს ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვან პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები, რომელიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს, კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, რომელიც მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რის საფუძველზეც ფარმაციის ბაკალავრს შეუძლია მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება ჯანდაცვის სისტემაში, ფარმაცევტულ კომპანიაში, აფთიაქში, ფარმაცევტულ საწარმოში, წამლის ხარისხის კონტროლის, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ლაბორატორიაში, სასამართლო ექსპერტიზის ბიუროში, წამლის სააგენტოში, შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვაში, ფარმაციის ბაკალავრის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა ისეა სტრუქტურირებული, რომ კურსდამთავრებული ითვისებს პროგრამის მიზნებში დეკლარირებულ ცოდნას და უნარებს წამლის დამზადება-წარმოებიდან პაციენტამდე, მარტივიდან რთულისაკენ.
საგანმანათლებლო პროგრამის ზოგად და დარგობრივ სწავლის შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერით დადგენილ მახასიათებლებს.
სწავლის შედეგები ასახულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაზე.

პროგრამის სწავლის შედეგები არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური, შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს. სწავლის შედეგები შეესაბამება ფარმაციის დარგის სპეციფიკას, პასუხობს დარგის გამოწვევებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. პროგრამას განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც არის თანმიმდევრული და გამჭვირვალე. მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რომლებიც სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა.

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია: კვალიფიციური ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელება; მომხმარებლის უზრუნველყოფა ეფექტიანი, უსაფრთხო ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამკურნალო საშუალებებით; სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების დამზადება და სერიული წარმოება; ტექნოლოგიური პროცესების განხორციელება და აპარატურა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლოატაცია; ნედლეულის, სუბსტანციის სამკურნალო საშუალებების ანალიზი, ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია. ფარმაცევტული დაწესებულებების სტრუქტურული ერთეულების მართვა და სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თსსუ–ის ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ✓ ვებ. გვერდი: www.tsmu.edu;
- ✓ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☒	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შემუშავებული აქვს შედეგების შეფასების მექანიზმი, აღნიშნული განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესით“ (დამტკიცებულია თსსუ -ის აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 თებერვლის №24/4 დადგენილებით).

დოკუმენტში განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, ეტაპები და მეთოდები, პროცედურების ერთობლიობა, რაც საჭიროა სწავლის შედეგების გასაზომად და მონაცემთა განსაზღვრისათვის, მათი შეგროვებისა და მონაცემთა ანალიზისათვის.

აღნიშნული მექანიზმებით ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასება.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება მოიცავს შემდეგ ეტაპებს: სწავლის შედეგების ჩამოყალიბებას, კურიკულუმის ანალიზს, პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზს, შეფასების შედეგების გამოყენებას პროგრამის განვითარებისათვის.

თსსუ-ის ცენტრალური და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ხელს უწყობს სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას და შენარჩუნებას, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენებას. უნივერსიტეტის ხარისიხის უზრუნველყოფის სამსახურის გამოკითხვა ტარდება სისტემატურად SurveyMonkey-ს პლატფორმის გამოყენებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებია:

ა) სტუდენტთა აკადემიური მიღწევების, განთესვის, მობილობის, სტატუსის შეწყვეტის, შეჩერების, პროგრამის დასრულების მაჩვენებლების ანალიზი;

ბ) საგანმანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის კვლევა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

გ)სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან დაკავშირებით;

დ) საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით;

ე) სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებლების ანალიზი.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ სტუდენტებისთვის უკუკავშირის დაბრუნება, რაც გულისხმობს მიღებული შედეგების გაანალიზებას, რეკომენდაციების გაცემას და სტუდენტისთვის ხელშეწყობას - გააცნობიეროს ძლიერი და სუსტი მხარეები, დაადგინოს საჭიროებები და უკეთ დაგეგმოს საკუთარი აკადემიური მოსწრებისა და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესების გზები.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა განსაზღვრულია პროგრამაში. საბაკალავრო პროგრამისთვის სწავლის შედეგების შეფასება ხდება 3-5 წლიანი ინტერვალებით როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდების გამოყენებით.

სწავლის შედეგების შესაფასებლად შემუშავებულია პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუქა, კურიკულუმის რუქაზე აისახება, თუ რა დონით ავითარებს ესა თუ ის სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის შედეგებს (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) და პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის სამივე დონეზე განვითარების შესაძლებლობა. კურიკულუმის რუკა ავლენს საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს,

თითოეული სასწავლო კურსის როლს, დანიშნულებასა თუ აუცილებლობას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევაში, რაც მნიშვნელოვანი მექანიზმია პროგრამის სწავლის შედეგების რეალისტურობის და განხორციელებადობის გასაზომად. სუსტი მხარეების იდენტიფიცირების შემთხვევაში პროგრამის ხელმძღვანელი, დაინტერესებული მხარეების აზრის გათვალისწინებით, ფაკულტეტის დეკანთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან ერთად, იღებს ადეკვატურ ზომებს სწავლის შედეგების მისაღწევად სასწავლო კურსების ოპტიმიზაციის გზით. პროგრამის, როგორც აკადემიური ასევე მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს.
თსსუ-ის ცენტრალური საუნივერსიტეტო და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები ხელს უწყობენ შემუშავებული მექანიზმების ამოქმედებას და აქტიურ დანერგვას, რაც ხელს უწყობს პროგრამის წარმატებულ განხორციელებასა და სწავლების ხარისხის მაღალი დონის უზრუნველყოფას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ თსსუ-ს სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- ✓ ვებ. გვერდი: www.tsmu.edu;
- ✓ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☒	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფარმაციის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურის აღმწერით დადგენილ სტანდარტებს. პროგრამის კურსდამთავრებულს მიენიჭება „ფარმაციის ბაკალავრის“ აკადემიური ხარისხი.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად - ECTS. პროგრამის 240 კრედიტი მოიცავს: 104 კრედიტი ეთმობა საბაზისო და ზოგად–ტრანსფერულ სასწავლო კურსებს, 94 კრედიტი – პროფილური სასწავლო კურსებს, 12 კრედიტი - არჩევითი სასწავლო კურსებს; ხოლო 30 კრედიტი – ფარმაციის ინტეგრირებული მოდულს.

პროგრამიის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს სტუდენტის ცოდნისა და უნარების განვითარებას, კომპეტენციის ფარგლებში შემდეგი საქმიანობის: სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციის, სამკურნალო–პროფილაქტიკური საშუალებების დამზადების, სერიული წარმოების, ფარმაცევტული ანალიზის განხორციელების, კეთილხარისხოვნების დადგენის, რაციონალური ფარმაკოთერაპიისა და ფარმაცევტული ზრუნვის განხორციელების მიმართულებით.

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია 2012 წელს. მისი ფუნქციონირების პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობდა პროგრამის განვითარებასა და სრულყოფაზე ზრუნვა, რასაც საფუძვლად უდევს კურსდამთავრებულეთა და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი, უნივერსიტეტის პრიორიტეტები, უცხოურ და ადგილობრივ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კვლევით ცენტრებთან თანამშრომლობა.

პროგრამის ხელმძღვანელი და კურიკულუმის კომიტეტი მუდმივად მსჯელობს პროგრამისა და კურიკულუმის განვითარებაზე, სწავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ახალი სასწავლო კურსების დანერგვაზე დარგის თანამედროვე და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში, ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან ერთად, მონაწილეობენ დამსაქმებლები, სტუდენტები, ადმინისტრაცია, კურსდამთავრებულები და პროფესიული ორგანიზაციები. მათმა შენიშვნებმა და რეკომენდაციებმა, ახალმა გამოწვევებმა ფარმაციაში განაპირობა ცვლილებები პროგრამაში, ახალი სასწავლო კურსების შემოტანა სწავლებაში, როგორიცაა:

ფარმაცევტული ზრუნვა, ფარმაკოთერაპიული არჩევანი, შინაგანი სნეულებები, იმუნოლოგიის საუძვლები, სასწავლო გეგმაში დამოუკიდებელი სასწავლო კურსების სახით გამოიყო კომუნიკაციური უნარ-ჩვევები, ფარმაცევტული ეთიკა და დეონტოლოგია, ფსიქოლოგიის საფუძვლები, ფარმაციის მენეჯმენტი და მარკეტინგი.

განხორციელდა გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები. მაგ. რამდენიმე სასწავლო კურსი: პათოლოგია, ფარმაკოლოგია, ტოქსიკოლოგიური ქიმია ისწავლებოდა ერთი სემესტრი, მათი სირთულიდან გამომდინარე გაიყო ორ სასწავლო კურსად და ისწავლება ორი სემესტრი, რამაც გაუმჯობესა ამ დისციპლინების სწავლების ხარისხი.

ორი დამოუკიდებელი სასწავლო კურსის სახით ისწავლება მათემატიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები. საინფორმაციო ტექნოლოგიებს დაემატა ბიოსტატისტიკის ელემენტებიც.

პირველი კურსის სტუდენტების შეფასებებში სჭარბობდა დაბალი და უარყოფითი შეფასებები, განსაკუთრებით ორგანულ ქიმია 1–სა და ფიზიოლოგია 1-ში, რაც დიდწილად საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან სტუდენტთა შეგუების სირთულით იყო განპირობებული. აქედან გამომდინარე, კურიკულუმის კომიტეტმა გაითვალისწინა სტუდენტებისა და დეპარტამენტების აკადემიური პერსონალის მოსაზრებები და აღნიშნული დისციპლინები გადაიტანა მეორე კურსზე.

სასწავლო პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით, შეიცვალა პროპორცია სალექციო და პრაქტიკულ-სემინარულ მეცადინეობებს შორის ანალიზურ, ფიზკოლოიდურ, ზოგად და არაორგანულ ქიმიაში და ფარმაცევტულ ბოტანიკაში, გაიზარდა იმუნოლოგიის საფუძვლების, ქართული ენის კრედიტ-მოცულობა, არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა.

თითოეული სასწავლო კურსი არის ლოგიკურად და თანამიმდევრულად დალაგებული, გათვალისწინებულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები. თუმცა, არსებული სტრუქტურის თანახმად, სასწავლო კურსი „ჰისტოლოგიის საფუძვლები“ ისწავლება პირველ სემესტრში, ხოლო „ადამიანის ანატომიის საფუძვლები“ მეორე სემესტრში. უპრიანი იქნებოდა ორივე კურსის ერთდროულად სწავლება ან ადამიანის ანატომიის საფუძვლები უსწრებდეს ჰისტოლოგიის საფუძვლებს.

სამეცნიერო კვლევებისადმი, პროფესული ზრდისა და განვითარებისადმი ინტერესის გაზრდისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით სასწავლო გეგმას დაემატა სამეცნიერო კვლევის საფუძვლების და ბუნებრივი ნედლეულის კვლევის საფუძვლების სწავლება.

პროგრამაში დაგეგმილია არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის კიდევ გაზრდა, რაც სავალდებულო კურსების ფარგლებში მიღებული ცოდნის გაღრმავების ან, საკუთარი სასწავლო, თუ კვლევითი ინტერესებიდან გამომდინარე თავისუფალი არჩევანის გაკეთების საშუალებას აძლევს სტუდენტს.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ფარმაციის ფაკულტეტზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განვითარებას, კოორდინაციას უწევს პროგრამის და კურიკულუმის შემუშავების პროცესის საჯაროობას და გამჭვირვალობას. ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა კურსდამთავრებულისათვის განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლისა და ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა;
- ✓ კურიკულუმის რუკა;
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ თსსუ–ის ვებგვერდი: www.tsmu.edu.

რეკომენდაციები:

- ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია სასწავლო კურსები „ადამიანის ანატომიის საფუძვლები“ და „ჰისტოლოგიის საფუძვლები“ ისწავლებოდეს ერთდროულად პირველ სემესტრში, ან ადამიანის ანატომიის საფუძვლები უსწრებდეს ჰისტოლოგიის საფუძვლებს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სასწავლო კომპონენტი ითვალისწინებს საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სპეციალური დისციპლინების შესწავლას. განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, დაემატა ძირითადი და არჩევითი სასწავლო კურსები. საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნისა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს პირველი საფეხურით (საბაკალავრო განათლების ეტაპით) გათვალისწინებული შედეგების მიღწევას.

თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის, სხვადასხვა სწავლა/სწავლების მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორიული სამუშაო და სხვა) შეესაბამება სასწავლო კურსის შინაარს და მისაღწევ სწავლის შედეგებს, ფარმაციის ბაკალავრის მომზადების თანამედროვე მოთხოვნებს. პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები აქცენტირებულია ფარმაციის თანამედროვე პრინციპებზე. სასწავლო კურსები სტრუქტურირებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მიხედვით, პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, რაც ასახულია სილაბუსებში და ცნობილია ბაკალავრებისთვის.

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით, რომლებიც განსხვავებულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და დეტალურადაა აღწერილია სილაბუსებში.

სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე, სიახლეებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

თსსუ–ის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს ფარმაციის ბაკალავრებისთვის საჭირო ბეჭდურ და ელექტრონულ სახელმძღვანელოებს. თსსუ-ის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა;
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ✓ კურიკულუმის რუკა;
- ✓ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა;
- ✓ თსსუ–ის ბიბლიოთეკა.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვან პროგრამაზე მიღების წინაპირობა და პროცედურები საჯარო და გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის, საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებულია თსსუ-ს ვებ გვერდზე www.tsmu.edu.ge;

პროგრამის მიღების წინაპირობა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად 2011 წლის 29 დეკემბრის N244 ბრძანების საფუძველზე. პროგრამაზე სტუდენტის ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის თანახმად, ასევე მობილობის წესით სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვან პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვთ:
– უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება;
– უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ უცხო ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მიღებული აქვთ ECTS-კრედიტები ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვის სურვილის მქონე უცხო ქვეყნის მოქალაქეთა რეგისტრაცია უფასოა და წარმოებს ადგილზე, შესაბამისი დოკუმენტაციისა და მათი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანის წარდგენისას. ინგლისური ენის კომპეტენციის დადგენის მიზნით, აპლიკანტი ვალდებულია გაიაროს გასაუბრება ადგილზე თსსუ-ში ან სკაიპის (Skype ID: TSMU_IRD) მეშვეობით. გასაუბრების ვიდეოჩანაწერი იტვირთება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და არის ხელმისაწვდომი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის.

პროგრამის განმახორციელებელ პირებთან ინტერვიურების პროცესში შენიშნეს სტუდენტების მხრიდან ორგანული ქიმიისა და ტოქსიკოლოგიური ქიმიის სწავლებაში გარკვეული სირთულეები, რის გამოც პროგრამაში გატარებულ იქნა გარკვეული ცვლილებები. შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა შერჩევის უზრუნველყოფის მიზნით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის

გასაუმჯობესებლად შესაძლებელია გასაუბრების გზით ქიმიაში უცხოელი სტუდენტების კომპეტენციების შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თსსუ ვებგვერდი www. tsmu.edu.ge
- ინტერვიურების შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☒	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას, რაც შეესაბამება სწავლების პირველ საფეხურს. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად; უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები. თუმცა, სასურველია საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა.

ასევე მნიშვნელოვანია პროგრამის დასკვნით ეტაპზე, მე–8 სემესტრში ფარმაცევტული ინტეგრირებული მოდულის სწავლება, რომელიც მოიცავს თემატურ ნაწილებს:

ფარმაცევტულ ანალიზში, ფარმაცევტულ ტექნოლოგიებში, ფარმაკოგნოსტურ ანალიზში, ფარმაცევტულ ზრუნვასა და ფარმაკოთერაპიულ არჩევანში (30 კრედიტი). სწავლება ხორციელდება თსსუ–ის პროფილური დეპარტამენტების ლაბორატორიებში, სამეცნიერო–კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორიაში, თსსუ–ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტში, ფარმაცევტული კომპანიების „ავერსი–ფარმა“, „პე–ეს–პე–აფთიაქი“ და ფარმაცევტული საწარმო „ნეოფარმის“ ბაზაზე, მათთან გაფორმებული მემორანდუმისა და შეთანხმების საფუძველზე.

თსსუ–ს პარტნიორია მსოფლიოს 40-ზე მეტი ქვეყნის 120-ზე მეტი უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო კლინიკა; მათთან თანამშრომლობა რეგულირდება ორმხრივი ხელშეკრულებებით და/ან ერთობლივი საერთაშორისო პროექტების (ერაზმუს+) ფარგლებში. პროგრამის „ერაზმუს+“ ფარგლებში ყოველწლიურად ფარმაციის ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობს მოკლე- თუ გრძელვადიან მობილობის პროგრამებში.

დამსაქმებლებთან გაფორმებული მემორანდუმი/შეთანხმება ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანსა და ხანგრძლივობას. სწავლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს შეუძლია კომპეტენციის ფარგლებში:

• სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებების დამზადებასა და სერიულ წარმოებაში მონაწილეობა;

• ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად ტექნოლოგიური პროცესების ჩატარება და აპარატურა-დანადგარების უსაფრთხო ექსპლოატაცია;

• სამკურნალო ნედლეულის, ძირითადი და დამხმარე მასალების, მზა წამალთფორმების შენახვის პირობების უზრუნველყოფა და დაცვა;

• სახელმწიფო სტანდარტების და ნორმატულ-ტექნიკური დოკუმენტაციის გამოყენება;

• სამკურნალო საშუალებათა სტაბილურობის განსაზღვრა და ვარგისობის დადგენა;

• ნედლეულის, სუბსტანციისა და სამკურნალო საშუალებების ხარისხის კონტროლი და სტანდარტიზაცია;

• ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური ანალიზის ჩატარება;

• რაციონალური ფარმაკოთერაპიის განხორციელება კომპეტენციის ფარგლებში;

კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება კრიტიკული ანალიზისა და სინთეზის უნარი, ინფორმაციის მართვისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარი; მომხმარებელთა უფლებების ხელშეწყობისა და უსაფრთხოების დაცვის უნარი, გუნდური მუშაობის უნარი; უწყვეტი პროფესიული განვითარებისა და სრულყოფისადმი სწრაფვის უნარი. პროფესიული პრაქტიკის გავლის პერიოდში, ასევე სამეცნიერო-კვლევით პროექტში ჩართვის შემთხვევაში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს აკადემიური პერსონალი ან მოწვეული მასწავლებელი, რომელიც არის დარგის კვალიფიციური სპეციალისტი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ფარმაციის საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა;
- ✓ თსსუ–ის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- ✓ თსსუ–ის ვებ-გვერდი: www.tsmu.edu;
- ✓ ფარმაცევტულ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ✓ სასურველია კონფერენციებში სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლის გაზრდა

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☒	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში პროგრამაში გამოყენებულია მრავალფეროვანი, მათ შორის სამედიცინო განათლებაში აპრობირებული სწავლის/სწავლების მეთოდები და აქტივობები, რომლებიც შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს, სასწავლო კურსის შინაარსს, კურსის მიზნებს, ორიენტირებულია სწავლის შედეგებზე და უზრუნველყოფს მათ მიღწევას, დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე, როდესაც სტუდენტი ხდება სწავლის პროცესის აქტიური მონაწილე. სწავლების მეთოდების შერჩევისას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის სპეციფიკა, პროგრამა მიმართავს შემდეგ მეთოდებს: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი, დისკუსია/დებატები, ჯგუფური მუშაობა, დემონსტრირების მეთოდი, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, როლური და სიტუაციური თამაშები, წერითი მუშაობის მეთოდი, პრაქტიკული მეთოდები.

საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულია კონსულტაციები, ასევე მოქმედებს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომლის თანახმად, საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეთავაზებული აქვს სწავლების ინდივიდუალური განრიგი. დაწესებულება და პროგრამის განმახორციელებელი ჯგუფი ზრუნავს პერსონალის გადამზადებაზე და სამედიცინო განათლებაში სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- თსსუ-ში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი;
- ინტერვიურების შედეგები
- www.tsmu.edu.ge

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☒	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასება ხორციელდება თანამედროვე ინდიკატორების გამოყენებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანების შესაბამისად.

უნივერსიტეტში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა (ECTS), რომელიც არის სწავლის შედეგებზე, სასწავლო პროცესის გამჭვირვალობაზე დაფუძნებული და სტუდენტზე ორიენტირებული სისტემა. მისი მიზანია, ხელი შეუწყოს სასწავლო ერთეულების დაგეგმვას, განხორციელებას, შეფასებას/ცნობას, აგრეთვე სტუდენტთა მობილობას.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში სტუდენტის მიერ კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საკრედიტო სისტემით გათვალისწინებული

ერთ-ერთი დადებითი შეფასებით. სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგის შეფასების კომპონენტებია შუალედური შეფასება და დასკვნითი შეფასება, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (0-100 ქულა).
დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, თუ შუალედური შეფასებისა და
მინიმალური საგამოცდო შეფასების ჯამით მას შეიძლება დაუგროვდეს 51 და მეტი ქულა(შუალედური შეფასება უნდა შეადგენდეს მინიმუმ 31 ქულას).
დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (ანუ გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 % და მეტის) მიღების შემთხვევაში. სასწავლო კურსი ითვლება ჩაბარებულად, თუ შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის დადებითი ქულათა ჯამი შეადგენს 51 ქულას და მეტს.
შეფასების წესი გამჭვირვალე და სამართლიანია, შეესაბამება პროგრამის მიერ განსაზღვრულ სწავლების მეთოდებს;
სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები: ზეპირი დისკუსია, ტესტური გამოკითხვა, ღია/დახურული ტესტი, საკითხი, რეფერატი, დემონსტრირება, ჯგუფური ან ინდივიდუალური პრეზენტაცია, სტუდენტის ჰისტოლოგიურ პრეპარატებთან მუშაობა, პრაქტიკული/ თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში, ქვიზის შესრულება და სხვ. თუმცა, პროგრამაში რიგ სასწავლო კურსში „კლინიკური უნარ-ჩვევები“, „კომუნიკაციური უნარ-ჩვევები“, რომელთა ფარგლებში სტუდენტი გამოიმუშავებს კლინიკურ უნარებს, დასკვნითი გამოცდა ტარდება ზეპირად ბილეთებით ან ტესტური სახით. ექსპერთა ჯგუფის რჩევაა, აღნიშნულ კურსებში სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგების შესაფასებლად გამოყენებულ იქნას შეფასების თანამედროვე მეთოდი- ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცადა (OSCE).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების დოკუმენტი
- www.tsmu.edu.ge

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასწავლო კურსებში „კლინიკური უნარ-ჩვევები“ „კომუნიკაციის უნარები“ სტუდენტების მიერ მიღწეული შედეგების შესაფასებლად გამოყენებულ იქნას შეფასების თანამედროვე მეთოდი- ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა (OSCE).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**

2.4 სტუდენტების შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარამაციის ინგლისურენოვან პროგრამაზე დაიგეგმა რამოდენიმე მნიშველოვანი ცვლილებება, რაც თვალსაჩინო იყო დოკუმენტაციაში და აგრეთვე ინტერვიუებზე. სტუდენტების ჩართულობა მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელებაში. თვითშეფასების ჯგუფში მონაწილეობდა ერთი სტუდენტი, რომელიც გვესწრებოდა ინტერვიუზე და გამოიკვეთა, რომ მისი როლი შემოიფარგლებოდა სტუდენტებთან კომუნიკაციით და დიდად ჯგუფის სამუშაოებში არ იყო ჩართული.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ინგლისურენოვანი პროგრამის ფარგლებში აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოყოს სტუდენტთა საკონსულტაციოდ კვირაში ორი საათი. საკონსულტაციო საათების განრიგი დგება სემესტრის დასაწყისში, რაც იყო დადასტურებული ინტერვიუებზე ადმინისტრაციასთან და ლექტორებთან. სტუდენტებთან ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ არ იცოდნენ ამ ცხრილის შესახებ, თუმცა მათ აღნიშნეს, რომ ლექტორები ყოველთვის მზად არიან გამოუყონ სტუდენტებს დრო და დამატებით აუხსნან გაუგებარი საკითხები, ასევე, ხდება კომუნიკაცია ელექტრონული ფოსტით და ტელეფონით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ჩარიცხვის, სწავლის და სასწავლო გარემოს შესახებ ინფორმაცია განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (https://tsmu.edu/ts/content/7/135/92/185/0/0), რაც პოტენციურ სტუდენტებს უადვილებს ინფორმაციის მოძიებას და აძლევს საშუალებას, რომ თავისით მართონ რიგი პროცესები. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ თსსუ აირჩიეს მეგობრის რეკომენდაციით და ასევე მოეწონათ უნივერსიტეტის სწრაფი რეაგირება ჩარიცხვის პროცესის დროს, რამაც კარგი პირველი შთაბეჭდილება მოახდინა. მათ აღნიშნეს რომ დღეს არჩევნის წინაშე რომ იყვნენ არ შეიცვლიდნენ გადაწყვეტილებას, რაც მეტყველებს მათ კმაყოფილებაზე უნივერსიტეტის მიმართ.

ადმინისტრაციას მჭიდრო კავშირი აქვს სტუდენტებთან. ინფორმაცია მათ ეგზავნებათ ელ ფოსტის და სოციალური ქსელის მეშვეობით. პრობლემის შემთხვევაში მათ შეუძლიათ პირდაპირ მიმართონ ადმინისტრაციას და მალევე ხდება რეაგირება. დამატებით, ყოველ სემესტრში ტარდება სავალდებულო სახის გამოკითხვა surveymonkey-ს მეშვეობით, სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ მათი გამოხატული მოსაზრებები არის გათვალისწინებული. ლექტორებმა აღნიშნეს, რომ მათ ეძლევათ ამ გამოკითხვების მონაცემები, რაც მათ ეხმარებათ გააუმჯობესონ მათი ლექციები. აღნიშნული აძლევს შესაძლებლობას, რომ პროგრამა მოერგოს სტუდენტის ინტერესებს და მეტყველებს, ადმინისტრაცია ხელს უწყობს სტუდენტებს.
სტუდენტებთან ინტერვიუბზე გამოიკვეთა, რომ არცერთს არ მიუღია მონაწილეობა შიდა და უნივერსიტეტგარე კონფერენციებზე, კარგი იქნება სტუდენტებს მიეწოდოთ ზუსტი ინფორმაცია როგორც ღონისძიებების, აგრეთვე ამ ღონისძიებებში მონაწილეობის მათთვის სარგებლობის შესახებ, მათი დაინტერესების გაზრდის მიზნით.
თსსუ-ში ფუნქციონირებს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც აქტიურადაა ჩართული სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სოციალური და გასართობი პროგრამების განხორციელებაში. უცხო ენოვანი პროგრამის განხორციელების დროს ერთ-ერთი სირთულე გამოიხატება ინტერნაციონალური სტუდენტების ინტეგრირებაში. ინტერვიუების დროს ცხადი იყო, რომ სტუდენტები გრძნობენ თავს კომფორტულად და აღნიშნეს, რომ მაშტაბურ დონეზე უნივერსიტეტი აღნიშნავს მათი ქვეყნების დღესასწაულებს, რაც მათთვის იყო ძალიან სასიხარულო. სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სოციალური ქსელის მეშვეობით და ასევე აღნიშნეს, რომ ერთ-ერთი მათგანი ემატება თვითმმართველობას, რომ უფრო ადვილად მიიღონ ინფორმაცია, რამაც წესით უფრო მეტად უნდა გამოიწვიოს მათი ინტეგრირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუები სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, მოწვეულ პედაგოგებთან, დამსაქმებლებთან, თვითშეფასებიშ ჯგუფთან
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამდააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტუდენტებს მიეწოდოთ ზუსტი ინფორმაცია კონფერენციების, სხვადასხვა ღონისძიებებისა და ამ ღონისძიებებში მონაწილეობის სარგებლობის შესახებ, მათი დაინტერესების გაზრდის მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☒	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	
თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☐	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ხდება მაღალი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალის მიერ, რომელთაც აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები, რაც დასტურდება მათი რეზიუმეებით, საკვალიფიკაციო დოკუმენტაციითა და ინტერვიურებით..

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პირები – უნივერსიტეტის აკადემიური პესონალი და მოწვეული პედაგოგები, ფლობენ სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, რაც განისაზღვრება კვლევითი აქტივობით, შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, პუბლიკაციებით და დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომთა სიით. აკადემიური და მოწვეული პედაგოგების შემთხვევაში – საგანმანათლებლო პროგრამაში მათი ჩართვის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი უახლესი აკადემიური ცოდნა და კომპეტენცია პრაქტიკული გამოცდილება მოცემულ სპეციალობაში.

პროგრამის წარმატებით განხორციელების თვალსაზრისით, აგრეთვე მნიშვნელოვანია, რომ 2014 წლიდან ამოქმედდა რამდენიმე ტრეერნინგ მოდული პერსონალის გადამზადების მიზნით. უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, გაცვლითი პროგრამები, სკოლა-სემინარები, ტრენინგები) მონაწილეობის თვალსაზრისით და, შეძლებისდაგვარად, ორგანიზაციულად უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ეგიდით ამ ტიპის ღონისძიებების ჩატარებას, რაც ასევე დადასტურდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს. ამის დასტურია პროგრამის ასევე, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მონაწილება, ადგილობრივი და საერთაშორისო მნიშვნელობის 628 კონფერენციის მუშაობაში სხვადასხვა ფორმით.

თსსუ-ში პრიორიტეტი ენიჭება აკადემიურ თანამდებობაზე ახალგაზრდების არჩევას, ბოლო 5 წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართული მოწვეული მასწავლებელიდან 6 არჩეულია აკადემიურ თანამდებობაზე; პროფესორებიდან 2 პენსიაზე გავიდა და მიენიჭა ემერიტუსის წოდება.

პროგრამის განხორციელებას პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, ხელს უწყობს სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი (ფარმაციის ფაკულტეტის დეკანი, დეკანის მოადგილე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, მდივანი, დეპარტამენტების სასწავლო ნაწილის ხელმძღვანელები და ლაბორანტები). უნივერსიტეტში შექმნილია კანცლერის აპარატის მონიტორინგის ჯგუფები, რომლითაც კონტროლდება როგორც აკადემიური, ისე დამხმარე პერსონალის სამუშაო განრიგის შესრულება.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

სულ აკადემიური პერსონალი	**79**			**45**
- პროფესორი	6			6
- ასოცირებული პროფესორი	26	5	5	26
- ასისტენტ-პროფესორი	13	3	3	13
- ასისტენტი				
მოწვეული პერსონალი	34	11		_
სამეცნიერო პერსონალი				_

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ჩამონათვალი
- ✓ თვითშეფასების ანგარიში
- ✓ ინტერვიურების შედეგები

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.1 ადამიანური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და

შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომების ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☐	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების დანართებში წარმოდგენილი აკადემიური პერსონალის რეზიუმეების მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებს აქვთ შესაბამისი კვალიფიკაცია, რომელიც შეესაბამება უმაღლესი განათლების მეექვსე დონეს.

უნივერსიტეტის მართვის პრაქტიკაში დანერგილია აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვორქშოფების, ტრენინგების, გამოფენების და სხვა სამეცნიერო შემოქმედებითი ღონისძიებების ორგანიზება-მონაწილეობაში, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, კვლევითი ნაშრომების და სხვა ბეჭდური მასალის გამოქვეყნებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, დაწესებულებაში არსებობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც განსაზღვრავს აკადემიური/მოწვეული პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პირობებს, კრიტერიუმებსა და პროცედურებს. პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის და კვლევის ხარისხობრივი შეფასების მიზანია, პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენა და ამაღლება, პერსონალის მოტივაციისა და შრომითი ნაყოფიერების გაზრდა. თსსუ-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ახდენს როგორც ადმინისტრაცია, ისე სტუდენტები. უნივესიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია კითხვარები სტუდენტის მიერ სასწავლო კურსის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების მიზნით. სემესტრის/კურსის ბოლოს სტუდენტები ანონიმურად ავსებენ კითხვარს, რომლის მონაცემების გაანალიზებას ახდენს დეპარტამენტის ხელმძღვანელი ფაკულტეტის დეკანთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად. შედეგები და რეკომენდაციები განიხილება დეპარტამენტის სხდომაზე და შემდეგ ფაკულტეტის საბჭოზე, ან/და საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალურად კონკრეტულ აკადემიურ ან მოწვეულ პერსონალთან.

2019 წლიდან პერსონალის შეფასების პროცესს ელექტრონული ფორმით (Survey Monkey) ერთობლივად ახორციელებს თსსუ–ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი. 2019/20 სასწავლო წლიდან ამოქმედდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება და მიღებული შედეგების ანალიზი, მნიშვნელოვნად დაეხმარება პროგრამის შემდგომ განვითარებას. შეფასების შედეგის საფუძველზე შესაძლებელია მოხდეს პერსონალის დაწინაურება და წახალისება. შეფასების შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის.

აკრედიტაციის ვიზიტის განხორციელებისას ჩატარებულმა ინტერვიუებმა ცხადყო, რომ უნივერსიტეტი სისტემატურად ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. მუდმივად ხდება პერსონალის ინფორმირება სამეცნიერო კონფერენციებსა და კვლევით პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით უნივერსიტეტში რეგულარულად ტარდება სამეცნიერო კონფერენციები.

ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის განვითარების ხარჯები: სამეცნიერო მივლინება უცხოურ უნივერსიტეტებში, სამეცნიერო ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების დაფინანსება/თანადაფინანსება, კონფერენციებში მონაწილეობა, სახელმძღვანელოს დაფინანსება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- ✓ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში
- ✓ თსსუ–ის პერსონალის შეფასების წესი – თსსუ–ის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 7 მარტის N 23/3 დადგენილება;
- ✓ თსსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ✓ თსსუ-ის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების წესი;
- ✓ საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებში, კვლევებსა და ღონისძიებებში პერსონალის ჩართულობის მაჩვენებელი;
- ✓ თსსუ–ის ვებ-გვერდი: www.tsmu.edu;
- ✓ ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

- ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☒	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტის განხორციელებისას ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მიეცა ადგილზე, უშუალოდ უნივერსიტეტის შენობაში ენახა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება მოცემული პროგრამის განხორციელების ეტაპზე. სასწავლო სივრცე აღჭურვილია შესაბამისი ტექნიკით, უნივერსიტეტის შენობაში არსებობს სივრცე, როგორც დამოუკიდებელი, ასევე

ჯგუფური მუშაობისთვის. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტებს შესაძლებლობა ჰქონდათ დისტანციურად დაეთვალიერებინათ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის მატერიალური რესური, სათანადოდ აღჭურვილი უახლესი აპარატურით, რაც ხელმისაწვდომია სტუდენტების პრაქტიკული საქმიანობისათვის.

უშუალოდ დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით სასწავლო შენობაში განთავსებულია ლაბორატორიები შესაბამისი ტექნიკით (ამწოვი და მაშრობი კარადები, შემრევები, ანალიზური სასწორები, ფოტოკოლორიმეტრები, წყლის გამოსახდელი აპარატი და სხვ.) და მასალებით, სადაც ტარდება პრაქტიკული მეცადინეობები. საწავლო-კვლევითი დანიშნულებით პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის ფართი და აღჭურვილობა. ექსპერტთა ჯგუფს საშულება მიეცა ვიზიტის დროს გაცნობოდა მოცემული ბაზის შესაძლებლობებს.

საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს სასწავლო კურსებით გათვალისწინებულ ძირითად ლიტერატურას, ნაბეჭდი ვერსიები წარმოდგენილია ერთეულ ასლად, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში ელექრონული რესურსები ხელმისაწვდომია სტუდნეტებისთვის. ექსპერტთა ჯგუფი იაზრებს, რომ რესურსების გაციფრულება მიმდინარეობს მათი საგანამანთლებლო მიზნებით, თუმცა აქვე ურჩევს უნივერსიტეტს გამოიჩინოს სიფრთხილე, რათა არ მოხდეს მოცემული რესურსების პირატული ვერსიების გავრცელება. ამის პრევენციის მიზნით, სასურველია, არა მთლიანი ტექსტების ელექტორნულ ფორმატში გადაყვანა, არამედ გარკვეული ნაწილის, რომელიც სასწავლო კურსშია მოცემული.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რა შესაძლებლობი არსებობდა სამეცნიერო ბაზებზე წვდომის თვალსაზრისით. როგორც ირკვევა, მიმდინარე წელს უნივერსიტეტს აქვს წვდომის უფლება რამდენიმე სამეცნიერო ბაზაზე, აქედან უნივერსიტეტის მიღმა ხელმისაწვდომია მხოლოდ ელსევიერის ბაზები (ScienceDirect, Scopus), ხოლო დანარჩენით სარგებლობა დასაშვებია უშუალოდ უნივერსიტეტის სივრციდან. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფი განმარტავს, რომ სასურველია, სტუდენტებისთვის დისტანციურ რეჟიმში ხელმისაწვდომი იყოს ყველა ის რესურსი, რომელზე წვდომის უფლებაც ბიბლიოთეკას გააჩნია.

ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა დაედგინა რა მომსახურებას სთავაზობს ბიბლიოთეკა სტუდენტებს რესურსებით სარგებლობის მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით ბიბლიოთეკა განმარტავს, რომ ისინი საორიენტაციო შეხვედრისას აცნობენ სერვისების შესახებ ინფომაციას და ასევე, პირად ელექტორნულ ფოსტაზე უგზავნიან. დამატებით, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია სამეცნიერო ბაზების გამოყენების მოკლე ვიდეო ინსტრუქცია. ექსპერტთა ჯგუფმა იგივე კითხვით მიმართა სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს. როგორც აღმოჩნდა, მათ უჭირთ გაიხსენონ რაიმე სახის შეხვედრა და/ან ტრენინგი, რომელიც ბიბლიოთეკის ორგანიზებით გაიმართა და სადაც განიხილეს სამეცნიერო ბაზების გამოყენების საკითხი. ისინი ადასტურებენ, რომ ინსტრუქცია მიიღეს საორიენტაციო შეხვედრის დროს, თუმა ვერ იხსენებენ უშუალოდ ამ მიმართულებით ჩატარებულ შეხვედრას. სტუდენტები და კურსდამთავრებულები ამბობენ, რომ ძირითადად სწავლების პროცესში იყენებდნენ სახელმძღვანელოებს და სამეცნიერო ბაზებით სარგებლობის საჭიროება არ დამდგარა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია აკადემიურმა პერსონალმა სასწავლო კურსების წარმართვის დროს, ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით ხელი შეუწყოს სამეცნიერო ბაზების შესაძლებლობების და საჭიროების პოპულარიზაციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ინფრასტრუქტურისა და ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები
- წიგნადი ფონდის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტები
- ინტერვიუს შედეგები
- ვიზიტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერების მიზნით

დაწესებულების ვებ-გვერდი **რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სახელმძღვანელოების გაციფროვნების დროს ბიბლიოთეკა სიფრთხილით მოეკიდოს საავტორო უფლებების დაცვის საკითხს, რათა არ მოხდეს მათი უნებლიე დარღვევა;
- სასურველია, ყველა სამეცნიერო ბაზაზე არსებობდეს დისტანციურად წვდომის შესაძლებელობა, რათა საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის მიღმა ხელმისაწვდომი იყოს ყველა რესურსი;
- სასურველია, პროგრამაში ჩართულმა აკადემიურმა პერსონალმა ბიბლიოთეკასთან თანამშრომლობით გააძლიეროს სამენციერო ბაზების პოპულარიზაცია სტუდენტებს შორის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
4.4 მატერიალური რესურსი	☒	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს ფარმაციის ინგლისურენოვანი პროგრამის ბიუჯეტი უკანასკნელ წლებში არის მზარდი. შემოსავლების აბსოლუტური უმრავლესობა

წარმოადგენს სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურს, რომლის ათვისებაც ხარჯვით ნაწილში წარმოდგენილია წლიური დინამიკით. როგორც წარმოდგენილი ბიუჯეტიდან ირკვევა პროგრამა სრულად ახერხებს ხარჯვითი ვალდებულებების დაფარვას და დამატებით უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან სუბსიდირებას არ საჭიროებს. უკანასკნელ ორ წელში პროგრამის ბიუჯეტში რჩება მოგება ფულადი სახსრების სახით, რომლის ათვისებაც ხდება უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტში.
ექსპერტთა ჯგუფს გაუჩნდა შეკითხვა, თუ რატომ არ იყო წარმოდგენილი პროგრამის ბიუჯეტში ისეთი ხარჯები, როგორიც არის აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარჯები და/ან რატომ იყო მაგალითად კვლევითი საქმიანობის მიმართულებით შედარებით მცირე თანხა გამოყოფილი. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, უნივერსიტეტში არსებული ბიუჯეტირების წესის შესაბამისად, აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების მიმართულებით გაწეული ხარჯები გაიწერება ცენტრალურ ბიუჯეტში და მისი პროგრამის დონეზე გათვალისიწნება არ არის საჭირო. ექსპერტთა ჯგუფმა ინტერვიუების დროს გადაამოწმა თუ რამდენად იყო შემთხვევები, როდესაც დაწესებულებამ გასწია კონკრეტული ტრენინგის/ვორქშოპის და/ან კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯი. აკადემიური პერსონალი აღნიშნავს, რომ მსგავსი შემთხვევები ყოფილა, თუმცა მოწვეული პერსონალს უჭირს გაიხსენოს აღნიშნული. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი ასევე დაინტერესდა თუ ყოფილა რაიმე სახის ფინანსური წახალისება პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ, როგორც აღმოჩნდა მსგავსი შემთხვევა არ ყოფილა. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ შემოსავლების ზრდის დინამიკის პარალელურად, სასურველია, ინსტიტუციამ შეიმუშაოს მექანიზმი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფინანსური წახალისების მიზნით, რაც აამაღლებს მათ მოტივაციას და დადებითად აისახება სწავლების ხარისხზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- პროგრამის ბიუჯეტი 2021 წელი
- პროგრამის ბიუჯეტი 2022 წელი
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, შემოსავლების ზრდის პარალელურად ინსტიტუციამ შეიმუშაოს მექანიზმი აკადემიური და მოწვეული პერსონალის ფინანსური წახალისების მიზნით, რაც აამაღლებს მათ მოტივაციას და დადებითად აისახება სწავლების ხარისხზე.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტები მოწმობს, მოცემულ საგანამანათლებლო პროგრამასთან მიმართებით გამოიყენება შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ის სტანდარტული მიდგომები, რომელიც არსებობს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში. კერძოდ, აღნიშნული პროცესი მოიცავს - „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლს. ეს პროცესი მოიცავს, როგორც პერსონალის შეფასებას, ასევე, სტუდენტთა გამოკითხვის ფორმების ანალიზს, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კვლევას. მიღებული შედეგების საფუძველზე, ფაკულტეტის ხარისხის სამსახური წარადგენს რეკომენდაციებს პროგრამის ხელმძღვანელთან და უნივერსიტეტის მართველ ორგანოსთან, რის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში იგეგმება ინტერვენციები.

ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა თუ რა ცვლილებები განხორციელდა პროგრამაში შიდა ხარისხის სამსახურის მიერ შემუშავებული მექანიზმების გამოყენების შემდეგ. როგორც დაწესებულების წარმომადგენლები განმარტავენ, თავდაპირველად თვითშეფასების ჯგუფმა მოცემული პროგრამა დაადარა ქართულენოვან პროგრამას და შეეცადა, მათ თანხვედრაში მოყვანას. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის მოსაზრებების გათვალისწინებით პროგრამაში დაემატა რამდენიმე სასწავლო კურსი, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების რჩევების შემდეგ გაძლიერდა მომხმარებლებზე ზრუნვის მიმართულება, ასევე, კვლევითი უნარების განვითარების მიზნით კურიკულუმში დაემატა კურსი - სამეცნიერო კლვევის საფუძვლები.
ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რა ფორმით იგებს აკადემიური პერსოანლი მათი სასწავლო კურსების შეფასების შედეგებს და მიმდინარე საანგარიშო პერიოდში თუ ყოფილა შემთხვევა მათი მხრიდან ცვლილებების ინიცირებისა. მოცემული კითხვის პასუხად დადგინდა, რომ სტუდენტები კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასებას ახორციელებენ სემესტრის ბოლოს, ხოლო, აღნიშნული შედეგები პერსონალისთვის ხელმისაწვდომი ხდება სემეტრის დასრულების შემდგომ. რაც შეეხება ცვლილებების ინიცირებას, როგორც აკადემიური პერსონალი განმარტავს, მათ შესაძლებლობა აქვთ პირდაპირი კომუნიკაცია ჰქონდეთ ფაკულტეტის დეკანთან, ასევე, პროგრამის ხელმძღვანელთან.
პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში ჩართულნი არიან, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი, ფაკულტეტის დონეზე და საუნივერსიტეტო სერვისების მიმწოდებელი სტრუქტურული ერთეულიდან. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა თვითშეფასების პროცესში ჩართულ პერსონალს, რის შედეგადაც დადგინდა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის განხორციელებისა და განვითარების პროცესში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სტუდნეტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება
- საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმად მოიაზრება უნივერსიტეტის ავტორიზაციის და კონკრეტული პროგრამის აკრედიტაციის პროცესი. გაცემული რეკომენდაციების საპასუხოდ დგება სამუშაო ჯგუფი პროგრამის დონეზე, რომელიც განიხილავს რეკომენდაციების შესრულების ნაწილს და ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცების შემდეგ, საჭიროებისამებრ ცვლილებებს წარუდგენს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, როგორ უპასუხა კონკრეტულმა პროგრამამ უკანასკნელი სააკრედიტაციო წარმოებისას გაცემულ რეკომენდაციებს. პროგრამის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ბოლო წარმოებისას მიღებული რეკომენდაციები ძირითადად უკავშირდებოდა სასწავლო კურსების სილაბუსების არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისოაბში მოყვანას, რაც მიმდინარე სააკრედიტაციო რეჟიმში წარმოდგენილ პროგრამაში გათალისწინებულია.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, საგანამანთლებლო პროგრამა განმავითარებელი, კოლეგიალური შეფასებისთვის გაეგზავნა როგორც საერთაშორისო (ლუბლინის სამედიცინო უნივერსიტეტი, პოლონეთი), ასევე ადგილობრივ ექსპერტს (აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეგიალურ შეფასებებს, სადაც ძირითადად, დადებითად იყო შეფასებული პროგრამა და მისი ცალკეული კომპონენტები. აღნიშნული შეფასებიდან ერთი განხორციელდა მოცემული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, მიმდინარე წლის მაისში, ხოლო მეორეს არ ახლავს ზუსტი თარიღი. ექსპერთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია კოლეგიალური შეფასება განხორციელდეს საწყის ეტაპზე, რათა ცვლილებების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს ინტერვენციების განხორციელება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების დოკუმენტი
- პროგრამის აკრედიტაციის ოქმი 2012 წელი
- პროგრამის გარე შემფასებლის კოლეგიალური დასკვნები
- ინტერვიუს შედეგები

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☒	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოწმობს, პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება მიმდინარეობს უნივერსიტეტში მოქმედი წესებისა და პროცედურის დაცვით. კერძოდ, ამ პროცესში ჩართულია როგორც აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, ასევე, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. მათთან შეხვედრების საფუძველზე გამოიკვეთება საჭიროებები, რომლის განხილვაც ხორციელდება პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში, შემდეგ ფაკულტეტის საბჭოზე და ცვლილებების საჭიროების შემთხვევაში დასამტკიცებლად წარედგინება უნივერსიტეტის გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს.

ექსპერტთა ჯგუფი ინტერვიუების დროს შეეცადა გადაემოწმებია, თუ რამდენად ეფექტური იყო სტუდენტების, აკადემიური პერსოლანალის, კურსდამთვრებულებისა და დამსაქმელბლების ჩართულობა ამ პროცესში. მათთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ:

- სტუდენტები ღიად საუბრობენ მათ საჭიროებებზე. ისინი აღნიშნავენ, რომ უკუკავშირის/შეფასების მიზნით გამოიყენებენ კითხვარებს, რომელსაც ყოველ სემესტრში ავსებენ, თუმცა გამოყოფენ შესაძლებლობას, რომ მათ შეუძლიათ პირდაპირი კომუნიკაცია პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან და მუდმივად განიხილავენ პროგრამის განხორციელების ნიუანსებს. რადგან პროგრამაში სტუდენტების რაოდენობა არ

არის დიდი, არაფორმალური კომუნიკაცია რიგ შემთხვევებში უფრო ეფექტურად გამოიყენება.

- დამსაქმებლები მიუთითებენ კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელიც პროგრამის გაცნობის ეტაპზე ჰქონდათ და რაც წარმოდგენილ პროგრამაში უკვე აისახა. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა დამსაქმებლებს, ძირითადად ფარმაცევტული ბიზნესის წარმოამდგენლებს. ისინი აღნიშნავენ, რომ წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, მათ ხვდება პროგრამის ხელმძღვანელი და განიხილავს კონკრეტულ საკითხებს, რაც მოცემული პროგრამის გაუმჯობესებისთვის შეიძლება იყოს საჭირო.
- ექსპერტთა ჯგუფი დისტანციურ რეჟიმში შეხვდა პროგრამის კურსდამთავრებულებს. ინტერვიუს დროს ისინი აღნიშნავენ, რომ ელექტორონული ფოსტის საშუალებით იღებენ კითხვარებს, სადაც სთხოვენ სასწავლო პროგრამის შეფასებას, ასევე, მათი თქმით პერიოდულად ხდება მათთან დაკავშირება და გადამოწმება, თუ ჩააბარეს სასერთიფიკატო გამოცდა მათ მშობლიურ ქვეყანაში და თუ არიან დასაქმებული.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ განხორციელდა ფარმაციის ინგლისურენოვანი პროგრამის დადარება რომელიმე უცხოურ ანალოგთან. როგორც აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი განმარტავს, პროგრამის დადარება ხდება საქართველოში არსებული უმაღლესი საგანამანათლებლო დაწესებულებების იმავე შინაარსის პროგრამებთან. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა აქტიურად გამოიყენოს ის საერთაშორისო კონტაქტები, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია და მოახდინოს მოცემული პროგრამის უნივერსიტეტთან შედარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენება
- საგანამანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი
- ინტერვიუს შედეგები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა ჯგუფმა აქტიურად გამოიყენოს ის საერთაშორისო კონტაქტები, რომელიც უნივერსიტეტს გააჩნია და მოახდინოს მოცემული პროგრამის უცხოურ ანალოგებთან შედარება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☒	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☒
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

ფარმაცია, ბაკალავრიატი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☒	☐	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☒	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☒	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☒	☐	☐	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☒	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის



სახელი, გვარი, ხელმოწერა ირინე ფხაკაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების



სახელი, გვარი, ხელმოწერა მაკა ჯავახია

სახელი, გვარი, ხელმოწერა გიგა ხოსიტაშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა ეკატერინე-მადონა ბუაძე